საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან თევზაძე

ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

კენჭისყრა - 24.04.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევანი თევზაძე

24 აპრილი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად არჩილ კოჭლამაზაშვილის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულების (ცვლილება შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით) საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო **არჩილ კოჭლამაზაშვილმა.**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - არჩილ კოჭლამაზაშვილი, რის შედეგადაც მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 90 ქულა.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე, კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 985 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 89.55% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ყველა მათგანმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, დაგროვებული ქულათა ჯამის მიხედვით, არჩილ კოჭლამაზაშვილმა დაიკავა პირველი პოზიცია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 15 აპრილის 1/37 განკარგულების თანახმად, აღნიშნული შერჩევის პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - არჩილ კოჭლამაზაშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2025 წლის 24 აპრილს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც კენჭი ეყარა არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურას, მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. შესაბამისად, მე მხარი დავუჭირე არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურას, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე